

შპს „შვიდი“

2018 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება


კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო			შენიშვნა
	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016	
აქტივები	8961074	7176937	4819837	
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>				
ფულადი სახსრები	2184048	1269375	554775	
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3304191	2492839	1478228	
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	260787	85074	123948	
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	17518	15284	14854	
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	3146173	3263971	2561244	3.1
წინასწარ გადახდილი გადასახადები	22163	27226	63620	3.4
სხვა მიმდინარე აქტივები	26194	23168	23168	
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	2068611	1234746	840988	
ძირითადი საშუალებები	1892299	1073487	831454	3.2
არამატერიალური აქტივები	13590	12759	9534	
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	162722	148500		
სულ აქტივები:	11029685	8411683	5660825	
ვალდებულებები და კაპიტალი				
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	6455006	4934556	4865376	
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3255619	2835784	2171441	
მოკლევადიანი სესხები	2929748	1811894	2446235	3.3
საგადასახადო ვალდებულებები	135007	216163	214491	3.4
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	134632	70715	33209	
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:	1492737	1324818	57059	
გრძელვადიანი სესხები	1492737	1297519		3.3
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები		27299	57059	
სულ კაპიტალი:	3081942	2152309	738390	
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	500000	500000	500000	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	2226858	1454696	203955	
არამაკონტროლებელი წილი	355085	197613	34435	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	11029685	8411683	5660825	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 11.12.2019 წ.

დირექტორი



მალხაზ ტვილდიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "შვიდი"


**კონსოლიდირებული მოგება-ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი
კაპიტალის ანგარიშგება**

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2018	2017	
ამონაგები	18376551	16735135	3.5
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-14685539	-12643862	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	3691012	4091273	
მიწოდების ხარჯები	-7142	-76206	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-2344495	-2105746	
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	-94246	-6360	
სულ საოპერაციო ხარჯები:	-2445883	-2188312	3.6
ნეტო შემოსავალი ძირით. საშუალ. და არამატ. აქტივების გაყიდვიდან	6017		
ფინანსური შემოსავლები	21168	10100	
დადებითი საკურსო სხვაობები	73446	80777	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	34032	94076	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	134663	184953	
ფინანსური დანახარჯები	-247841	-207331	
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-6707	-11529	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-185479	-455109	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-10132	-27	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-450159	-673996	
მოგება დაბეგვრამდე:	929634	1413919	
მოგების გადასახადის ხარჯი			
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	929634	1413919	
<i>მათ შორის, მოგება ან ზარალი მისაკუთვნიებული:</i>			
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	772162	1250740	
არამაკონტროლებელ წილზე	157471	163178	
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:			
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	929634	1413919	
<i>მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვნიებული:</i>			
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	772162	1250740	
არამაკონტროლებელ წილებზე	157471	163178	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2152309	738390	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	929634	1413919	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3081942	2152309	
<i>მათ შორის, საკუთარი კაპიტალი მისაკუთვნიებული:</i>			
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	2726858	1954695	
არამაკონტროლებელ წილებზე	355085	197613	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 11.12.2019 წ.

დირექტორი



მალხაზ ტვილდიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.


შპს "შვიდი"

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	20801534	18627073
სხვა შემოსულობიდან საოპერაციო საქმიანობიდან	2161	
ზარალის დასაფარავად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებული თანხები	377	815
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-15785211	-13611177
გაცემული შრომის ანაზღაურება	-1378948	-1000784
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	-3613009	-2944464
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-93796	-74669
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	-66892	996794
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-11081	-346258
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა		-138400
მიღებული პროცენტები	6948	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-4133	-484658
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების აღება	5549217	4832826
სესხების დაფარვა	-4292769	-4363418
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	-28431	-33188
გადახდილი პროცენტები	-239704	-201963
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	988313	234257
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	-2615	-31793
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	914673	714600
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	1269375	554775
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	2184048	1269375

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 11.12.2019 წ.

დირექტორი  მალხაზ ტვილდიანი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „შვიდი“ (შემდგომში – *კომპანია* ან *ჯგუფი*) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 1998 წლის 27 მაისს საბურთალოს რაიონის სასამართლოს N 5ა/4-1688 დადგენილებით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 211371638, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ლ. გოთუას ქ. N 12. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები:

მალხაზ ტვილდიანი - 20%;

სერგო ჩხაიძე - 5%;

ნინო ორჯონიკიძე - 25%;

ირაკლი ვაჩნაძე - 25%;

ირაკლი მასხუღია - 25%.

კომპანიას ჰყავს ერთი შვილობილი საწარმო - შპს „შვიდი ვაინ“ (ს/კ 405130889), რომლის კაპიტალში წილობრივი მონაწილეობა შეადგენს 85%-ს. დარჩენილი 15% ეკუთვნის მიხეილ მესხს.

1.3. კომპანიის დირექტორია მალხაზ ტვილდიანი.

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა კვების პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ინგრედიენტების იმპორტი და რეალიზაცია. შვილობილი საწარმოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ყურძნისა და ღვინის დასამუშავებელი მასალების იმპორტი და რეალიზაცია.

მეკავშირე საწარმოები ჯგუფს არ ჰყავს.

1.6. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, ჯგუფი წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, ჯგუფს არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით).

2.6. ჯგუფის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

ჯგუფის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება

არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული საღაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოს დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი; 1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი; 1 EUR=2.8596 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. მარაგები:

ჯგუფის მარაგები 2018 წლის ბოლოს შედგებოდა:

გასაყიდი საქონელი - 3 139 849 ლარი;

სარეკლამო მასალები - 3 644 ლარი;

საწვავ-საცხები მასალები და სხვა მარაგი - 2 680 ლარი.

2017 წლის ბოლოს შედგებოდა:

გასაყიდი საქონელი - 3 255 137 ლარი;

სარეკლამო მასალები - 6 648 ლარი;

საწვავ-საცხები მასალები და სხვა მარაგი - 2 186 ლარი.

3.2. ძირითადი საშუალებები:

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ისტორიული (თავდაპირველი) ღირებულება შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 2 531 467 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 1 636 584 ლარი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 639 168 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 563 097 ლარი.

3.3. მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები:

ჯგუფის სასესხო ვალდებულებები როგორც 31.12.2018 წ., ასევე 31.12.2017 წ. მდგომარეობით, მთლიანად შედგებოდა „თიბისი ბანკიდან“ აღებული სესხებისაგან.

3.4. საგადასახადო ვალდებულებები:

31.12.2018 წ. მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა საგადასახადო დავალიანება (ნეტო) – 112 844 ლარი;

31.12.2017 წ. მდგომარეობით, საგადასახადო დავალიანება (ნეტო) – 188 937 ლარი.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები).

3.5. ნეტო ამონაგები

2018 წელს, ჯგუფის ნეტო-ამონაგები შედგებოდა:

საქონლის გაყიდვიდან ამონაგები - 18 303 920 ლარი;

მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგები - 72 631 ლარი.

3.6. საანგარიშგებო პერიოდის საოპერაციო ხარჯები:

2018 წელს ჯგუფის მიწოდების, საერთო-ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შედგებოდა:

დასაქმებულთა ანაზღაურება - 1 754 672 ლარი;

ცვეთა და ამორტიზაცია - 103 489 ლარი;

იჯარა - 115 619 ლარი;

სხვა საოპერაციო ხარჯები - 472 103 ლარი.

3.7. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

2018 წელს მოგების განაწილება არ მომხდარა და შესაბამისად, 2018 წელს ჯგუფს არ ჰქონდა მოგების გადასახადის ხარჯი.

3.8. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის 1 იანვრიდან 11 დეკემბრამდე პერიოდში, რამე საყურადღებო მოვლენას ჯგუფის საქმიანობაში ან მის გარშემო ადგილი არ ჰქონია.

3.9. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 11 დეკემბერს.